




Wednesday 12 September 2012

- [ჩვენ შესახებ](#)
- [კონტაქტი](#)
- [გამოკითხვა](#)
- 
- 
- 
- [მთავარი](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [საზოგადოება](#)
- [გეოპოლიტიკა](#)
- [რეგიონი](#)
- [თვალსაზრისი](#)
- [დიპლომატიური კორპუსი](#)
- [ვიდეო](#)
- [აუდიო](#)

» [მთავარი](#) » კანონის ცვლილება ხელისუფლების ქმედების გასამართლებლად

კანონის ცვლილება ხელისუფლების ქმედების გასამართლებლად

- June 12, 2012,
- [მთავარი](#)
- [კომენტარი](#)
-

-A +A

Like

10 people like this. Be the first of your friends.



კანონპროექტი, რომლის მიღების შემდეგაც კოლხეთის ეროვნული პარკიდან ტერიტორიის ნაწილი **842.4** ჰექტარი დაცულ ტერიტორიად აღარ ჩაითვლება, მთავრობის მიერ პარლამენტში უკვე ინიცირებულია. “კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ” კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, საკომიტეტო მოსმენები **15** ივნისამდე გაგრძელდება.

ეკოლოგები ფიქრობენ, რომ კანონში მსგავსი ცვლილების შეტანა არამხოლოდ საერთაშორისო კონვენციების (რამსარის, ბერნის, ორჰუსის, რომლებთანაც საქართველო მიერთებულია), უხეში დარღვევაა, არამედ ეს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ზღვისპირა ქალაქებს და, ზოგადად, ეკოსისტემას.

კოლხეთის ეროვნული პარკიდან აღნიშნული ტერიტორიის გამოთავისუფლება, ფოთი-ანაკლიის მაგისტრალის მშენებლობისთვის ხდება.

2009 წელს, მას შემდეგ, რაც მთავრობის მიერ ბათუმის ანაკლიამდე დამაკავშირებელი უმოკლესი გზის მშენებლობა გადაწყდა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით World Experience Georgia-მ წინასაპროექტო კვლევა მოამზადა. გამომდინარე იქიდან, რომ მაგისტრალს კოლხეთის ეროვნულ პარკზე უნდა გაევიდო, World Experience Georgia-ს კვლევამ უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემა დააფიქსირა. შესაბამისად, რათა აღნიშნული ტერიტორიის, როგორც ეროვნული პარკის ნაწილად მოხსენიება პრობლემას ქმნიდა, კანონში ცვლილების შეტანის საჭიროება დადგა.

2011 წლის შემოდგომაზე, გარემოს დაცვის სამინისტრომ მთავრობის სახელით პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც კოლხეთის ეროვნული პარკიდან 842,4 ჰექტარის გამოკლებას და მის ნაცვლად მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნას გულისხმობდა.

იმავე წლის 13 ოქტომბრის N5128 კანონით, კოლხეთის ეროვნული პარკიდან ამოირიცხა 842,4 ჰა ფართობი და შეიქმნა მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ამ ცვლილების მიზანი იყო ფოთი-ანაკლიის გზის მშენებლობა.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი, ირაკლი მაჭარაშვილი მიიჩნევს, რომ კანონში ცვლილებების შეტანით მთავრობა ცდილობს, იურიდიულად გაამართლოს ფოთი-ანაკლიის გზის მშენებლობა დაცულ ტერიტორიაზე. “თუმცა, კანონში შეტანილი ეს ცვლილებაც იყო და გარემოს დაცვის სამინისტროს და პარლამენტის შეცდომა“ – ამბობს იგი.

როგორც ირაკლი მაჭარაშვილი განმარტავს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს 6 ტიპის დაცული ტერიტორია:

1. სახელმწიფო ნაკრძალი
2. ეროვნული პარკი
3. ბუნების ძეგლი
4. აღკვეთილი
5. დაცული ლანდშაფტი
6. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

ეროვნული პარკი, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის დაცული ტერიტორიაა, ხოლო მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია დაბალი დაცვის დონით გამოირჩევა, თუმცა მისი გამოყენება მაგისტრალის ან სხვა რაიმე ინფრასტრუქტურული მშენებლობისათვის დაუშვებელია.

როგორც მაჭარაშვილი განმარტავს, დღევანდელი საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი, აღნიშნული ტერიტორიისათვის (842.2 ჰა) დაცული ტერიტორიის სტატუსის საერთოდ გაუქმებაა, რათა თავისუფლად განხორციელდეს მაგისტრალის მშენებლობა.

„ამ კანონპროექტის მიხედვით, აპირებენ ამოიღონ მუხლები, რომლითაც შეიქმნა მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, ანუ უქმდება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.“

ამდენად, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა კოლხეთის ეროვნული პარკის მკაცრად დაცული ნაწილის ნაცვლად, წარმოადგენდა „დაცული ტერიტორიების სისტემის“ შესახებ კანონის დარღვევას. ახლა ცდილობენ იურიდიულად გაასწორონ ეს დარღვევა; მაგრამ პრაქტიკულად ეს ნიშნავს კოლხეთის ეროვნული პარკის შუაგულის დეგრადაციას. მით უმეტეს, კანონის მიღებით ნამდვილად დაირღვევა საქართველოს მიერ დადებული მრავალმხრივი ხელშეკრულებები (რამსარის, ბერნის და ორჰუსის კონვენციები, როგორც მინიმუმ)“- მიიჩნევს მაჭარაშვილი.

რაც შეეხება საფრთხეებს – ეკოლოგიური თვალსაზრისით, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მშენებლობა გამოიწვევს ეკოსისტემის რღვევას. ამ ტერიტორიაზე არსებული ჭაობის დაშრობა გამოიწვევს ჰაერში უდიდესი რაოდენობის ნახშირბადის გაფანტვას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს კლიმატის ცვლილებას. აგრეთვე, ჭაობი მიმდებარე ტერიტორიას ზღვის წყლის შედინებისგან იცავს და აკავებს.

ამ მოსაზრებას იზიარებს ეკოლოგიური სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მუჟაანაძეც. მისი თქმით, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მშენებლობა სავალალო შედეგებს გამოიწვევს. ჭაობს აქვს უნიკალური თვისება, რომ მასში არსებული დიუნებით აკავებენ ზღვის წყალს და მისი დაშრობისას არსებობს საშიშროება, რომ მიმდებარე ქალაქები დაიტბორება. მუჟაანაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ყოველგვარი წინასწარი კვლევის გარეშე წამოიწყო ფოთი-ანაკლიის მაგისტრალის მშენებლობა. „უნდა მოხდეს ნადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნის წინასწარი შესწავლა, აგრეთვე, მშენებლობის

გარემოზე ზემოქმედების შედეგების მოკვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მშენებლობა“ – მიიჩნევს მჭავანაძე. ის ფიქრობს, რომ ამ პროცესების შედეგად განადგურდება ფრინველთა ის უნიკალური სახეობებიც, რომლებიც ჭაობის ტერიტორიაზე ბინადრობენ.

“ეს ტერიტორია ფრინველებზე დაკვირვების შესანიშნავი შესაძლებლობაა, რაც მშენებლობის შემდეგ წარმოუდგენელი იქნება.“ – აღნიშნავს ნიკოლოზ მჭავანაძე.

ნიკოლოზ მჭავანაძე ფოთი-ანაკლიის მაგისტრალს ახალი ქალაქის, ლაზიკას მშენებლობას უკავშირებს. რაც შეეხება ლაზიკას, მისი აზრით, თუკი ქალაქი ჭაობის ადგილას გაშენდება, ეკოლოგიური პრობლემები კიდევ უფრო გაიზრდება. ჭაობის დაშრობით, ის ზღვისპირა ქალაქების დატბორვის რეალურ საშიშროებას ხედავს. თუმცა, მჭავანაძე სახელმწიფოს მიერ თავად ქალაქია აშენების შესაძლებლობასაცეჭვის თვალთ უყურებს – „ყოველი წვიმის შემდეგ ქალაქი იტბორება, სანიაღვრე სისტემა ვერ მოუწესრიგებიათ და ქალაქს როგორ ააშენებენ?“ – განმარტავს მჭავანაძე.

ანა წიკლაური

opinion.ge

share:

დაწერე კომენტარი

სახელი (აუცილებელია)	<input type="text"/>	ელ-ფოსტა (აუცილებელია)	<input type="text"/>
<input type="text"/>	ვებ-გვერდი	<input type="text"/>	კომენტარი
<input type="text"/>		<input type="button" value="დამატება"/>	

[« გუგული მალრამე: „კლინტონმა სააკაშვილს მწვანე შუქი აუნთო“ პარტიებისა და არასამთავრობების აზრით მესხი, ამამუკელი და ამბროლაძე პოლიტიკურ პატიმრები არიან »](#)

<input type="text"/>	<input type="button" value="გაგზავნა"/>
----------------------	-----------------------------------------

- [ტეგები](#)
- [აქტიური თემები](#)
- [კომენტარები](#)

[სხვადასხვა ვიდეო](#) [თვალსაზრისი](#) [კულტურა](#) [საზოგადოება](#) [ეკონომიკა](#) [რეგიონი](#)

[პოლიტიკა](#) [გეოპოლიტიკა](#) [კომენტარები](#)